

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტი

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია :

სტუ-ის აკადემიური საბჭოსა და სენატის მიერ  
თარიღი “ 16 “ დეკემბერი 2013 წ.

### პრეამბულა

საქართველოში, ეროვნული საუნივერსიტეტო განათლების, ნოვაციური ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს, უნივერსიტეტის წიაღში, განაპირობებს სასწავლო-სამეცნიერო და საწარმოო კომპლექსის ინტეგრაცია. სახელმწიფოს საგანმანათლებლო-ეკონომიური სტრატეგიის ამ მიმართულებით პროგრესს, მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს საუნივერსიტეტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არქიტექტურული უზრუნველყოფა და სასწავლო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ფონდის სრულყოფა.

### მუხლი N1

#### ზოგადი დებულებანი

არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტი, არ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) სტრუქტურული ერთეულია და მოქმედებს, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის, სტუ-ის მოქმედი წესდების შესაბამისად და — როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, რექტორის დაქვემდებარებაში მყოფი, არქიტექტურულ-დიზაინერული პროფილის, სტრუქტურული შემოქმედებითი ერთეული.

## **მუხლი N2**

### **დეპარტამენტის უფლება-მოვალეობა**

არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების და პრიორიტეტების თანახმად უნდა განახორციელოს:

- სტუ-ის დაქვემდებარებაში არსებული სასწავლო კორპუსების, მათი მიმდებარე ტერიტორიების, სასწავლო-აუდიტორიული, ლაბორატორიული, სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-სამრეწველო ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობათა ფონდის, არქიტექტურულ-დიზაინერული გადაწყვეტა, პროექტირების დონეზე;
- მოახდინოს საავტორო ზედამხედველობის განხორციელება პროექტის რეალიზაციის პროცესში.

## **მუხლი N3**

### **დეპარტამენტის საშტატო სტრუქტურა და უფლებამოსილება**

- 3.1.** არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საკადრო სტრუქტურა, თან ერთვის დებულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.
- 3.2.** სტუ-ის არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტს წარმოადგენს მისი უფროსი.
- 3.3.** დეპარტამენტის უფროსი კოორდინირებს, ხელმძღვანელობს და განახორციელებს მონიტორინგს სამსახურის ეფექტურ და წარმატებულ საქმიანობაზე, თანამშრომელთა პერსონალურ დავალებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე დადგენილ ვადებში.
- 3.4.** დეპარტამენტის უფროსს, მისი კომპეტენციის ფარგლებში, აქვს უფლება მოითხოვოს და მიიღოს ორგანიზაციებისგან, იურიდიული და ფიზიკური პირებიგან, სამსახურის საქმიანობისათვის საჭირო, კანონმდებლობით ნებადართული ინფორმაცია.
- 3.5.** სტუ-ის რექტორთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან (კანცლერთან) შეთანხმებით არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტს აქვს ბლანკი, ლოგოტიპი, შტამპი, ელექტრონული ფოსტა და ვებგვერდი.

## მუხლი N4 დასკვნითი დებულებები

4.1. დებულება ძალაშია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს და სენატის მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

4.2. დებულებაში ცვლილებების შეტანას განიხილავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს სენატი.

4.3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.



ელ. ფოსტა: [gtu.archdep@gtu.ge](mailto:gtu.archdep@gtu.ge); ტელ.: ქალაქის 0322-36 51 03; შიდა 64 55 ; 121.